კვლავ მოსკოველებმა იმარჯვეს

მოსკოვი. ”დინამოს” სტადიონი. 16 ოქტომბერი.

”დინამო” (მოსკოვი) – ”დინამო” (თბილისი) 2:1 (0:1).

მოსკოვი: გონტარი, ტოლსტიხი, ნოვიკოვი, მახოვიკოვი, მატიუნინი, შევცოვი, ლატიში, მინაევი, ტყებუჩავა (მენტიუკოვი), აჯოევი (კაპუსტინი), მოლოდცოვი.

თბილისი: მჭედლიძე, პაიკიძე, ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, დარასელია (კაკილაშვილი), ანდღულაძე, სულაქველიძე, ჯოხაძე, ცავა, შენგელია (მესხი).

მსაჯი: ე. აზიმ-ზადე (ბაქო).

დუბლიორები - 1:1.

თბილისის დინამოელები საკავშირო ჩემპიონატის დასასრულს საპრიზო ადგილზე გასვლისთვის იბრძვიან, მათს მოსკოველ თანაკლუბელებს კი ამ მატჩის წინ მხოლოდ ის საზრუნავი ჰქონდათ, რომ შეევსოთ ქულათა მოკრძალებული მარაგი, რაც მათ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ესაჭიროებათ.

მოხდა ისე, რომ თბილისელებმა ვერ მიაღწიეს მიზანს, მოსკოველებმა კი ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რათა განემტკიცებინათ პოზიციები აუტსაიდერთა ჯგუფიდან თავის დასაღწევად. სხვათა შორის, ეს ძველი ისტორიაა: რაც არ უნდა ფორმაში იყოს ეს ორი ძველი მეტოქე, მოსკოველები, როგორც წესი, უფრო მობილიზებით და შემართებით იბრძვიან ხოლმე მოგებისთვის, ამ ორი გუნდის შეხვედრათა ბალანსიც საკავშირო ჩემპიონატებში მოსკოველთა დიდ უპირატესობაზე მეტყველებს.

მაგრამ ამჯერად ეს შეიძლება ასე არ მომხდარიყო თბილისის ”დინამოს” ორივე ტაიმი რომ ისე ჩაეტარებინა, როგორც დაიწყო თამაში. სტუმრებს სრული, უდავო უპირატესობა ჰქონდათ პირველი 45 წუთის მანძილზე, ისინი ტექნიკითაც, სისწრაფითაც, ტაქტიკური ჩანაფიქრითაც სჯობდნენ მეტოქეს, თამაში თითქმის მთლიანად მასპინძელთა ნახევარზე მიმდინარეობდა. თბილისელთა თავდამსხმელები და ნახევარმცველები იოლად სძლევდნენ მეტოქის მცველთა რიგებს, ამის შედეგად მრავლად იქმნებოდა სახიფათო მომენტები და მე-15 წუთზე ანგარიშიც გაიხსნა: ცავამ შორი მანძილიდან დაარტყა კარში, გონტარმა მოიგერია ბურთი, რომელსაც ყველაზე ადრე მიუსწრო შენგელიამ - 1:0.

წარმატებას განმტკიცება ესაჭიროებოდა, მით უფრო, რომ თბილისელებს იმ პერიოდში კვლავ ეპყრათ სრული ტერიტორიული უპირატესობა. მაგრამ მათ სრულიად გაუმართლებლად მოუკლეს ტემპს, თანდათან შეანელეს იერიშები, რამაც მოსკოველებს საშუალება მისცა გამოესწორებინათ მდგომარეობა.

თბილისელთა ამ პასიურობამ კიდევ უფრო მეტად იჩინა თავი მეორე ტაიმში, გუნდის ცალკეულ რგოლებში დაირღვა ტაქტიკური ურთიერთმოქმედება, რამაც მოსკოველებს საშუალება შეუქმნა მთლიანად ხელთ აეღოთ თამაშის სადავეები.

53-ე წუთზე კაპუსტინმა ზუსტი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში, 79-ე წუთზე კი უყურადღებოდ დატოვებულმა ტყებუჩავამ ახლო მანძილიდან გაიტანა მეორე გოლი.

დარჩენილ მცირე დროში თბილისელები რამდენადმე გააქტიურდნენ, მაგრამ უკვე გვიანი იყო, მათს ქაოსურ შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია.

”ლელო”, 19 ოქტომბერი, 1982 წ.